



#ნიგნებისაქართველოდან

ნიგნები საქართველოდან ემიგრანტებისთვის

2017 წლის 1 აპრილს, ფაბრიკაში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) გამართა ღონისძიება #ნიგნებისაქართველოდან, რომლის მიზანი იყო ნიგნის ბანკის შეგროვება, რათა შემდგომ შეგროვილი ნიგნები გაეგზავნოს ემიგრანტებს და შეიქმნას ნიგნის კუთხე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. კამპანიას შემოუერთდა საზოგადოებრივი მოღვაწეები, მწერლები, მორაგბეები და ბევრი სხვა.

კამპანიის იდეა გაჩნდა საიას მიგრაციის პროექტის ფარგლებში გამართული შეხვედრების შედეგად, რა დროსაც ხუთი სხვადასხვა ქვეყნიდან (პოლონეთი, თურქეთი, საბერძნეთი, უკრაინა, იტალია), ემიგრანტებმა გამოთქვეს ბიბლიოთეკის შექმნის/გამდიდრების სურვილი.

კამპანია დაიწყო 1 აპრილის ღონისძიებაზე, თუმცა ნიგნების შეგროვება გაგრძელდება აპრილის ბოლომდე (კამპანიის პირველი ტალღა): თქვენ საშუალება გაქვთ ნებისმიერ დროს აპრილის ბოლომდე ჩააბაროთ ნიგნები საიას ნებისმიერ რეგიონულ ოფისში. ამასთან, გუნდი მოუწოდებს ყველას, გადაიღონ ფოტო ნიგნებთან ერთად და ატვირთონ ჰეშთეგით #ნიგნებისაქართველოდან.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მადლობას უხდის ყველა დაინტერესებულ პირს თუ ორგანიზაციას ჩართულობისთვის და ასევე ყველა კომპანიას კამპანიისთვის გამოყოფილი სერვისებისა და მხარდაჭერისთვის.